ვუძღვნი ჩემს მშობელ ერს

არ გაყიდოთ მიწა,
არც ღიმილი დააწონოდ
ქვენად,
უმიწოდ ხომ არ არსებობს
არაფერი ქვეყნად.

© სერგო (ჰენრი) ზაქარიას ძე მოლოდინაშვილი, 2016

ISBN 978-9941-0-8498-0

სერგო (ჰენრი) ზაქარიას ძე
მოლოდინაშვილი

წინასწარმეტყველური ლექსები

თბილისი 2016

მიწა

მიწ, გან, შავ-ფერ თუ ნაღები,
ქვა-ღორღ ერიოს ხვინჭა,*
თითთ ანაბეჭდებს დავაჩენ,
დარდს არ წავიღებ ხინჯად.

გაზაფხულს მზე რომ დასწვდება,
გადახნულ მიწას იწვის,
ბელტებს ასრესავს ერთმანეთს,
ჩვენი მიწაა – წივის...

ქანდეს დე გული ძალუმად,
ვიგრძენო ყივილიც მიწის,
მთა-ბარს გატაროთ გამჩენმა,
მამულია და მისთვის.

---

* ხვინჭა – ქვიშაზე უფრო მსხვილი ფრაქცია

ნისლი

ნისლნი, ნაომნი, ნაჟურნი,
წვიმით და ცვარნით ნაბანნი,
ქანცგაცლილნი და დაღლილნი,
ღალატით ღონემიხდილნიც.

თეთრად აძრულნი მაძღრისად,
ნასველნი, გალუმპულები,
სადღაც შამბნარში ნათრევნი,
კოცონთან ღამეც ნათევნი.

სიზმრებს და ზღაპრებს ნაჩვევნი,
მოხუცებს გულში ჩაკრულნი,
საცერ, გობ-ვარცლში გავლილნი,
მერე? – თონეში ჩაკრულნი.

და კიდევ სადღაც ღრანტებში,
კუდმოჭრილ ნაძუნძულებნი,
ფიქრით და განსჯით დაღლილნი,
ტანსაცმელ ჩამოძონძილნი.

სახითაც ჩამოღადრულნი,
ფეხ-გულებ გადახეთქილნი,
მიწა ქართველთა ნაღრძნობი,
მაინც ძმას ძმურად გადახვეული?
ნისლი მთებს ლაღად, თეთრად ფენილი...

მარილი

გოხ-კოლტ ქვა-მარილს მთებში,
კაჟ-თითნით ვამსხვრევ ნდომით,
ბარს მიმაქვს მარხილ ვარცლით,
პურიც დამიცხეთ ცეცხლით.

ყველას ოჯახში კერძად,
ყველას ქორწილი ბნევად,
ყველა ქართველის გაზრდით,
მარილი ვკინძოთ ერთად.

ჩვენი გორებიც ჩვენად
და ჩვენი წყალიც ჩვენად,
ჩალის ფასი აქვს მარილს?
წაიღეთ „ძმებო“ ძღომად.

არა! ვერ გაგვყონ მტრებმა,
როცა სიცოცხლეს ვწირავთ,
ვინ ჩაგვი-ხედოს ჯამში
როცა ჩვენ მარილს ვფიცავთ?

მაშ, გაუმარჯოს მოდგმას,
პურს, მარილს არა ჩირად,
(როცა ჩვენ მარილს ვფიცავთ)
მარილს?
მარილს არ ვჩირავთ, ვკინძავთ!

კვიცი

კვიცი იცი? – ვიცი!
თამარ ციხეს ცერს იცურებს,
ეჯავრება უცხოს ხელი,
ეტანება მხოლოდ შვრიას,
ტყვიას? ტყვიას აჯენს მხოლოდ ცხრიანს!
მერე რა, რომ პატარაა, გაიზრდება გაგაჭენებს,
თავის ფაფრით და ფლოქვებით
შენ გაჩვენებს საოცრებებს.
შეგახვედრებს კარგსაც, ცუდსაც,
ჰო, მოგიხნავს ზვარსაც მზიანს.
დაგიდგებათ ჟამი:
ცეხვის, ცელვის, ელვის, მირონცხების.
ნათლისღების, სალამურის, არა მურის.
ქარ-დავლურის, დაირულის, დიდ დოლურის,
სადაურის? აქაურის!
ჰო, ქართულის და მზიურის
საქართველოს მხიარულის.
ლოცვით, კდემით, ჩვენთ ვაჟების ქორწილების
მოწიწებით, სიყვარულით გოგონების გათხოვების.
შეჯერებით, შედუღებით,
შეკონებით მთელი ერის!
კვიცი იცი? – ვიცი!
თამარ ციხეს ცერს იცურებს,
ეჯავრება უცხოს ხელი,
ეტანება მხოლოდ შვრიას,
ტყვიას? ტყვიას აჯენს
ახლა უკვე შუბლში მღრინავს!

გონება

გონება სწრაფი, სხარტი და მალი,
ჩაჟანგებულიც არაფრის მქონე?
ისწავლე მართვა, არსობის გონის,
კარგად ითვალე, თან ზუსტად წონე.

გონსაც ჭირდება კვება და მოვლა,
მიუნთე ცოდნა, ათბე და ზარდე,
უწყლოდ ხე ხმება, ნაყოფიც სცვივა,
წიგნის გარეშე? – გონებას ცივა.

კაცობრიობა გონის გარეშე?
პლანეტას ათბობს ადამის გონი,
არ დაემონო გონს იმ გადამცდარს,
კიდევ ვასწავლი, ზოგსაც გზასამცდარს.

არსი, გონების, მარადისობის,
ყველა ერების, ჰო, აზროვნება,
ზოგჯერ ბოროტის შეთამაშება
და ხალხის ფერფლად რად მოკვდინება?

ნაბიჯი გონის ვარსკვლავეთისკენ,
გონის ზეიმი – მშვიდობისაკენ,
გონიერება, აი საზომი, –
გონის გარეშე? – დაობებისკენ,
გონთან ერთად – აფხაზთ ნდობისკენ!

შემოდგომა

ოქტომბერი, ნოემბერი, შემოდგომა ითვრება...

მაგრამ ყველაზე ლამაზი მაინც,
ფოთოლცვენაა ყვითელი ფერით:
და სანამ სიო არ წაშლის სურათს,
მიგეძინება, უყურებ თვლემით.

რა შევერცხლება და რა ხედვაა ფოთოლთა, თვალთა,
ერთი კაკლის ხეც მდუმარედ იდგა და გადგა,
მის გარშემო კი ფოთლები მრავლად,
არ აეხვეტა ნიავს, საღამოც დადგა...

ვერა კაცის ძე მას ვერ დახატავს,
თუნდაც მე ვიყო არარაობა.
მხოლოდ ღმერთს ძალუძს, ბუნებას დიადს,
დახატოს ისე როგორც მას უნდა.

კაკლის ხე იდგა, არსად რა ჩირგი,
იდგა უბრალოდ, თან ცოტა მორცხვად,
მის გარშემო კი ფოთლები კიდევ
ეყარნენ ისე ვით ოქრო-ზოდად...

ჩემი სახლ-კარი

გატყორცნილ ისარს, ერის შეძახილს,
მიჰყევ ქარივით, თუნდ მერცხალივით.
მთის ღრინტეებში ფრთებად გაშლილი,
სიდიადეა არწივთ ლივლივი...

კიდევ და კიდევ,
ფრთები შემასხით ფრინველთ საკადროდ,
ცად ამიტაცეთ, უბრალოდ ისე,
შორს მე გამტყორცნეთ – თუნდ უსახლკაროდ.

ხმაურიც მესმის ტალღების მსხვრევის,
მე არ მორჩილი, ცოტაც დამსაჯეთ,
რიწა მეძახის – თან მეფერება,
რად მეუბნება, ჩემი ხარ ასჯერ.

ჰო, მე ვიპოვე ჩემი სახლ-კარი,
საფლავ-სამარე წყლით აგებული.
დე, მე იქ ვიწვე, ვიდრე მიწაში,
მე არ ვიქნები მთლად წაგებული.

ზეშთაგონება

ზეშთაგონება?
დიდი ნატვრა,
დიდი ოცნება,
გათავისება უხილავ ძალის,
შემოსახლება
სულში და ხორცში;
კვლავ შემაღლება –
ადიდება,
გადიდება –
განდიდება?
უხილავი ძაფების ხილვა,
უხილავი უცხო სხეული.
უხილავი მატერიაა –
ზეშთგონება.

გამარჯვება

მიწა ქართული,
ერი ჯვარცმული?
ცეკვაც ქართული,
ცეცხლი, ალმური!

ლოცვა, ფსალმუნნი,
ცრემლნი წასულნი...
ღვინო? – ქებული.
მზეც ამოსული.

ძალა, სიმდიდრე,
რა საოცარი...
მიწა მოხნული,
ჯვარიც დასმული.

კაცი ნაშრომი,
ზვარიც ნაწრთობი,
გამარჯვება და
კვლავ სიხარული!

ხე მართალი

ხევ მართალო, გაგიმარჯოს!
გაგამრავლოს ღმერთმაც, კაცმაც.
რას გთხოვს ნეტავ მაცოდინა.
ჩემი შვილი არა ბილწი,
არ მქონე და უშურველი,
მეც მაძღრისად ვერ გამზრდელი.
მინდა მქონდეს მხოლოდ ერთი,
სახლი, კარი, თუნდაც ყავრით,
რაში მარგებს მარმარილო,
კაცი ვერ ვცნო გულზე ჯავრით?
დე, ამართლე სასიკეთოდ,
შენი ძირი არ მომპალი,
არაწლებით, მეწლეობით,
შემიფუთე მეც საგზალი.
მინდა იყო ხე მართალი,
ერის კაცის თანაარსი,
კვლავ მოისხი უმტყუნველად,
მხოლოდ კარგი, მართლა ვარგი.

ფერფლი

ფერფლი ვარ, ნახშირ-ნაგავი,
ბოროტის სახლის დარაჯი,
ყველასთან მე რა საქმე მაქვს,
მასპინძელია ზარმაცი.

მხოლოდ სიფხიზლე და ღონე,
კაცის გონების ნაღარი,
არ მიშვებს, ვერ შევაღწიე,
მის ეზოს სადაც ჭიშკარი.

ძნელია მართლა წუხილი,
ერი არ მინდა ნაჯაფი,
თოხის ტარს – კაცი ნამდვილი,
კვლავ თოხნოს ფერფლი-ნაგავი...

ქვა

ქვათა კედლები ციხეთა,
დგანან და არა ქრებიან,
სოხუმს ნამსხვრევი ბიჭებიც,
რატომ ვეღარა დგებიან?

ვერა ჩამოშლის ქვა-კირსა,
ვერც მზე, ვერც წვიმა, ვერც თოვლი.
თითო ქვა ასჯერ ნათვალი,
ათასჯერ გამოთვალული.

შენ გევედრები გონებავ,
გამოაბრწყინე სხივები,
ქვასაც ალერსი მომინდა,
დრო-ჟამთან ნაგორავები...

ცელი

დაკოჟრილი ხელები,
აპყრობილი თვალები,
ფილტვებით სუნთქვა,
ნელი, რიტმული...

ბალახი აშოლტილი,
ნაზი, ფხვიერი,
ცელის შხარუნი
რეტ-დასხმული.
კაცის, მარჯვენის,
ღვინოა ესეც ალადასტური.

ბალახნი? – დამჯერნი,
არსად გამქცევნი,
გქონდეს სურვილი,
ბალახის ცელვის
მხოლოდ და მხოლოდ
ქართულ მიწაზე
სიცოცხლის წყურვილით...

სახელი

სახელდებულო სახევ ერისა,
სახლი თუ შენ გაქვს, ჭერიც ბანისა?
უმისამართო სახლი სად ნახე,
ან საძირკველნი ბზარნი განისა?

არ წაიბილწოს სახელი შენი,
საფლავის ქვაა არა შენანი,
რა კარგად გშვენის ტატოს მერანი.
თქვენ საქართველოვ გლოცავს ზეცანიც.

სად ხართ ქართველნო?!
ეს მიწა არის მიუსაფარი,
ბევრი მტერი გვყავს, არვინ მოყვარე,
რად გვიდარაჯებს ხალი აფთარი?

რა სახელია ეს საქართველო?
შენ უნდა გერქვას ჰო-შაქარრთველო,
შენ უნდა გერქვას მზე ან ვარსკვლავი,
შენ უნდა გერქვას, ჰო – საქართველო!

ჯავრი

ჯავრ, ჯავშნ, ჯაჭვნ, ჯავარ აფხაზეთს,
ჯებირ-ჯილაგნი, გვიჯიჯგნეს.
ჯარიც გვიჯინეს, ჯურღმულნიც,
ჯერით, ჯვრით, ჯვალზეც გვაჯერეს?

სახ, ღაწვნ, თვალნ, ტუჩ-კბილ ბროლის.
ფეხმარდ, ხელმარჯვ და შრომის,
მტვრევ, მსხვრევმ ჩაქუჩ და ურითი,
ბოროტ, ღრძონც ვათროთ სუროთი.

თორთლა,* ხევ-ხუვ და ხრამები,
ხანძ ტყეებ ღრუბლებ ხმიანნი,
ვაჟნი მწყემსნი და ფხიანნი,
მტერთ მმუსვრელნ, ომახიანნი.

ქვეშ ქვა, ლოგინად სარეცლად,
საბნად ცა, ჯუბა ნაფლეთი.
ლუდი, ხმიადი, ცხვრის ხორცი.
ფეხ-გულ ტყე-ღრეზე ნაღლეტი.

შავ, შვეულ, შარ, შორ საშურთხენს
ნაფხოჭნი, ფრჩხილნით თითებით.
სახლიც დავიდგათ ქვა-ტინის,
მოდის მზე, წვიმა – ფერებით!

---

* თორთლა – მდინარე შუა ქართლში.

მოხუცი

ო, ეს სიბერე, ბებერი ძვლები
ცხვრის ფარები, მწვანე მინდვრები:
სოფლის ბოლოს ჭიდაობაა...
რა გოგონები, რა ცქრიალები.

ცხვრის მწყემსვა, წინდების კემსვა,
ლუკმა-პურის შოვნა?
სილამაზე – რა დამშვენება...
კვლავ სინანული, ახალგაზრდობის გამოტირება.

შვილნი მრავალნი,
ზოგი ოცნება,
ზოგიც ანთება,
საქართველოს არ დაჩოქება!

ყველას სიცოცხლე.
კვლავ გამარჯვება!

სიყვარული

შემოფეთება მერცხლის თვალების,
ბნედის დაცემა თავრეტდასხმულის,
დამორცხვებაა დიდ სიყვარულის,
გამრავლებაა, ერის მამულის –

ჰო, აღმაფრენა, სულის ანთება,
კაცად ცხოვრება, გზის დამოძღვრება,
ერის შეკვრა, შეკავშირება,
ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ა ! ! !

რა ამწვანება,
ჩვენი ქვეყნის კვლავ გაბრწყინება,
რა შემართება,
რა დაღონება...

სამშობლოს სიყვარული,
მართლა სიხარული,
დიდი მომავალი,
ერი შეფიცული!

წყალი

შემოეჯაჭვე დიდ მთებს,
წყალსაც დაუხვდი ქვევით,
დაეწაფე და უთხარ,
რომ შენ ის გიყვარს რწმენით.

სიცოცხლის ძალას ენდე,
არ გაგიმეტებს სამტროდ,
დაგარწყლულებს და გაგზრდის,
ხვალ ქვეყნის სამომავლოდ.

დაგაქორწინებს კიდევ,
შვილსაც გაგიზრდის კაცად,
დამასაფლევებს ცრემლით,
რა ქნას წყალია დაღმად!

ცრემლი

ცრემლ აიყარა ქართველებს
ცას მისწვდა სული წყეულით,
ფიქრნიც **ძ**ალუმად შეს**ძ**რა და...
ყალყ აი**ძ**აგრა გრ**ძ**ნეული.

მერე? – **ძ**ალ გაი**ძ**უნ**ძ**ულა,
ძელნი **ძ**ნად, **ძ**ე**ძ**ვნით შე**ძ**არა,
შეს**ძ**ახა **ძ**მებო, **ძ**მას ვე**ძ**ებ!
ძელგი **ძ**მა, ტყვიამ მი**ძ**მარა?

შეს**ძ**ართ სი**ძ**ვა და **ძ**ირს **ძ**რახი,
ძა**ძ**ით შესუდრეთ საფლავნიც,
ცოცხლებს მივაგოთ პატივი,
ვი**ძ**ახოთ კიდევ **ძ**ეთ სულნი.

ძღვენსაც ვუბო**ძ**ებ **ძ**მობილებს,
ცრემლ-უყრელთ აგერ ვუ**ძ**ღვები,
სა**ძ**მო საფლავნი გამ**ძ**ღარნი,
ძე მკვდართა, **ძ**ვლებით, **ძ**არღვებით.

დავიარები, დავ**ძ**რწივარ,
ძა**ძ**ით **ძ**ონ**ძ**-ჩამო**ძ**ენ**ძ**ილი,
ძენო **ძ**ირ**ძ**ველი გვიმ**ძ**ლავრეთ,
გვი**ძ**ლიეთ **ძ**ალნი, ვე**ძ**ანიც!*

---

* ვეძა – გადამლაშებული მარილიანი წყალი.

ქარს ეძო...

ქარს ეძო ქროლვით მიჰქონდა ქვევით,
ქამარშეხსნილიც ნთქავდა, ქერს, ნამქერს,
ქართლს, კახეთს, ამერს და იმერს,
უქსოვდა წინდებს, ლოცდა თვის შვილებს.

დავლოცავ მტერსაც ახალწლის დილას,
არ მოვჭრი მე ხეს, არცარა ღვიას,
არ გესვრი ტყვიას, აფხაზო, ვისო?!
გაგიშლი სუფრას, ვიხსენებ ზვიადთ.

ქარს ეძო ქროლვით, მიჰქონდა ქვევით,
ქამარშეხსნილიც ნთქავდა, ქერს ნამქერს,
ქართლს, კახეთს, ამერს და იმერს
უქსოვდა წინდებს, ლოცდა თვის შვილებს.

გვალვა

გვალვავ იგვალვე სამშობლოს გარეთ,
მიმჭკნარ ბალახსაც უკიდე ცეცხლი,
მწველი გუგუნი სიონის ზართაც?
დე, კვლავ ჩამოცხეს დიდგორს და ეხლაც!

ჰეი, ქართველნო! – თქვენ ზღვათა ღელვას,
ჭიანაჭამნო ვაშლთა თუ ხმობის.
მე თქვენ მიყვარხართ ვაით და ვუით,
ფიჭად იქეცით ერთურთის ტკბობით.

ალგეთს, ენგურს, არაგვს და რიონს,
პატრონი უნდა, ჩვენ? ვარდთა ფლეთვის,
ჩხუბში დავკარგავთ მიწას და მამულს,
ტუჩებს ილოკვენ, ღამეა უცხო ტომთ ცეკვის.

მთვარეც ანათებს უღრუბლო ცაზე,
ვარსკლავთ ციმციმიც მიხელებს გუმანს,
სხვას დარჩებაო ბაღები ქარვის,
ნუ მიწყენთ ზოგნო, ეს დროა არვის!

ხმა

ხმა ბავშვის, ხმა ანჩხლი კაცის,
ხმა დიდ მთათა, ზვავთა ჩამოშლის,
ხმა ჩანჩქერების თავქვე დაშვებით
ხმა საუკუნის, ზათქი ქარიშხლის.

ხმა გონაშვილის, ხმა ბურჭულაძის,
ხმა გოდების და ხმა აყრილების,
ხმა ტალღების და ხმა გამარჯვების,
ხმა დაბადების, ხმა დაბადების,

ხმა დაბადების ხალასი ერის!

ლექსი დაწერილია ჰამლეტ გონაშვილის სიცოცხლეში

საფლავებიც კვდებიან

დრო-ჟამ წყევლა თანამგზავრად,
თან დამყვება მარადად,
ცრემლი, ხოკი, შავი ფერი,
მესალმება საზანდრად.

წვიმა, თოვლი, სეტყვა, ქარიც
ძვლებს ხომ მიმსხვრევს რა კარგად,
მეც ვიშლები, ვჭკნები, მტვრევად.
მზეც მაფიცხებს საოცრად.

მერე რა, რომ საფლავი ვარ,
დიდი მორი, ქვათლილი,
სახსოვარი შვილთა, ცოლთა,
მამის, დედის თმაშლილის.

ზოგი ეძებს ჩემში ძრახვად,
განდიდებად შეშლილის,
ზოგიც მარტო უბრად, მწყრალად,
მორცხვად თავჩაქინდრულის.

ისე რომ, ხომ ყველა კვდება
ამ მიწაზე პირველიც,
მეც, რომ მოვკვდე, მეც დამმარხონ,
რაა გასაკვირველი?..

ჰანგები

ო, საოცარნო,
უჩინარნო,
ბგერებო ჩემნო,
გარდაქმნილნო
ჰანგებად ჩანგზე.

მე გისმენთ –
და კიდევ,
მე ვგრძნობ თქვენ რხევას,
რატომ ფითრდებით?
იწყებთ ხომ ცეკვას?
ჰანგებო ჩემნო,
ვნებიანნო,
უსტვინეთ,
იქროლეთ,
იწვიმეთ,
დადნით –
ნუ თრთიხართ,
მიყვარხართ,
ნუ ქრებით,
ნუ იპარებით,
აქა ვარ –
დარჩით?..

დაიტანჯება ქართველი

სისხლით და ჩეხვით ძარღვების,
ვინ გაიმარჯვა, რომელმა?
არა კაცს არ შეუძლია,
ერი მომისპოს მძრომელმაც.

კახ, რაჭ, იმერ და ამერნი,
ლეჩხუმ, სვან, მოხევეებით,
მაჯას გიკურთხებთ ქართლელნო,
თორ, ლაწ, აფენ და ჩვევებით.

დაიტანჯება ქართველი,
მიწა არ ნახა მშობელი,
აყრას გვიპირებს აფხაზი,
ვარდიც კაჭარად ჩახმების.

კაცმა, რომ ვერა შეიგნოს,
რა ვუთხრა – ავი რად ხარო?
აფხაზო, სხვას ნუ უჯერებ,
შენ საქართველოს ფარადო!

ლექსი დაწერილია 1977 წელს, სოფელ ლიხნში.

წამი

ჩამოიტოვე წამი, დრო დასამიწი,
აღარ ეახლო ავის მძრახველს, შეჰკარ მარყუჟი,
მე, ველოდები განსჯას, იქ ჩვენ ფსოუსთან...
სიტყვით, საქმით, ჟინით, ნდომით დაჰკარ მხედრული,
მერე ჭენებით, დაღლილს სადმე, თუნდაც ვარძიას.
შეხედავ მწარედ, კლდეს ქვა-ღორღიანს?
გამობრუნდები მამა-დავითზე,
გულში ჩაიკრავ მიწას მადლიანს,
ცრემლები გულში, ყელში ჩაიღვენთება
მაჯა ცახცახებს. მკლავი არ იშლის,
ხმლის შემართებას, ცეცხლის დანთებას...
თითქოს დაცხრება ვნება, სულის გულბოროტება,
ქვასაც გვიწვავდნენ, ვაზსაც, ტყეს გვიჩეხავდნენ,
განა რამეა? ჩვენი მიწა, კლდე, ღრე,
                დედულ-მამული,
აქ გვანებივრებს გულბოროტნი მთები,
                მაღლა ქოჩორ-ტყიანნი –
ქვებზე ხარობენ,
ფიჭვნიც,
ნაძვნიც,
უწყლოდ ჩვეულნი...

ვაჟას

ჭირთა მთმენლო ვაჟკაცო მთების,
ხომ კვლავ გიზგიზებს ბუხარი შენი?
რა ძალა გადგა, რად წერდი ამდენს?
ჩალის ფასია დღეს ის „ჯგერანი“?

ჰო, ის ძგერანიც ჯიხვთა რქებისა,
მკვდართა თითებიც დაჯეჯგვილია,
არწივიც, შენი დაფლეთილია,
„ბეჩავი“ კვდება, დიახ, ასეა?!...

არწივთა მოდგმის, დიდ მთათა ჭედვის,
ფშავის არაგვიც გაყიდულია,
ჰო, საქართველო აღარ არსებობს?
რაც კი რამ გვქონდა გაზიდულია.

არ ეცინებათ მკვდრებს ქართველებზე,
აფხაზმა სისხლი დალია ჩვენი,
არც ოსი გვინდობს სამაჩაბლოში,
ღვარძლი დაცეკვავს შენს სამშობლოში.

„ხმელი წიფელიც“ ფულზე გაცვალეს,
აჩეხეს ტყენი მეწყერი გვახრჩობს,
თხოვე ვაჟკაცებს გადაგასვენონ,
ჩარგალი გელის, ჰო, ერი ამბობს!

ფერი

თვალნო კეთილნო, ზოგჯერ ბოროტნო,
მხოლოდ თქვენ ძალგიძთ ფერთა გარჩევა...

ფერო თეთრო, ფერო შავო,
ნარინჯისფერო, მწვანევ, წითელო,
ო, საოცარნო ბუნების ქმნილნო.

ფერო ყვითელო-ოქროს,
შენ შემოდგომის ლამაზო ფერო,

შენ შავო ფერო, სუდარის სიკვდილის ფერო,
მწვანევ – ბალახის, სიცოცხლის ფერო.

კიდევ არსებობს ფერი უფერო,
ეს ფერი არის სული ზეაღსვლის,
ჰო, ეს სანთლების უხილავ ფერთა.
ფერთა კონები, მარადიულნი, უსასრულონი...

ყველა ჩემნი ხართ,
მე თქვენი მჯერა!
მხოლოდ ერთ ფერს,
შავს და ქვესკნელეთს,
ნურვინ შეხედავთ
უკუნითი უკუნისადმე,
ამინ!

სიჯიუტე

სიტყვას ვიხმობ არ მჭკნარს, არ მდნარს,
როგორც დიდ და ნაზარდ ჭანარს.
ნაქსოვს, ნართავს, დაწნულს თოკად,
უწყვეტს, ულევს როგორც მდინარს.

– გეკითხები საქართველოვ!
ხმა გამეცი – მიპასუხე,
როგორ იშვი, ვინ გაგზარდა,
ვინ გიმკობდა ღიმილს მცინარს?
ვინ გიჭედდა ხმალს თუ პერანგს?
ვინ გადგავდა დიადემას?
ვინ გირთავდა თეთრსაც მერანს?
ვინ გიზრდიდა შავსაც ყორანს?
მინდა გნახო კიდევ ბავრჯერ,
ლამაზი და მშვენიერი,
მინდა გიწნა მთაგრეხილნი.
მივათვალო მინდორ-ველნიც.
ვიცი კარგო ერთ ღმერთს ფიცავ,
სამაჩაბლოს თუ ერთ სიონს,
ერთ ერეკლეს თუ ერთ რიონს,
ერთ დედას თუ თამარიონს.
ფარავს კიდევ ერთი სიტყვა,
ჩემს სამშობლოს – საქართველოს,
მოგვაშველეთ კიდევ ბევრი.
ღვინოცა ვსვათ სიმთვრალიონს.

სიჯიუტე? – ეს სიტყვაა
მთლად, რომ შვენის ჩემს სამშობლოს,
სიჯიუტე – ეს სიტყვაა,
მთლად, რომ შვენის მზის ამოსვლა
საქართველოს ცა ალიონს!

ნათქვამი ერთი მეფისა

ამიციმციმეთ **ა**ლისფრად,
ასპინძა, **ა**ხალქალაქი,
აკურთხეთ **ა**თონ **ა**სმაგად
ათასად, **ა**ტენ, **ა**წყური.

გასდეთ, **გ**ამოსდეთ **გ**ულმართლად,
გრდემლი **გ**ულ-ალალ მჭედლისა,
გადააგ, **გ**ადმოაგორეთ,
გორები **გ**არეჯობისა.

ერი, სამშობლო, ქვეყანა,
გულანთებული **გ**არჯისა,
ჩააბით **გ**რძელი **გ**უთნებიც,
საკაიკაცოდ ქვეყნისა.

გადავიარე, **გ**ავედი,
გვერდულ **გ**ზაც **გ**ადავივაკე,
გარდა **გ**ულის და რა ვიცი
გრემმაც **გ**ატაროთ **გ**აზრდისა,

მართლმადიდებელნთ **მ**აკურთხეს,
მცხეთას **მ**ივედი **მ**არადად,
მარტო **მ**ე ერი **მ**იმრავლეთ;
მეტი **მ**ე, არა **მ**ინდა რა!

სახელად ერი, სიცოცხლე გვარად!

შენ, ჩემო გულო, სევდით ნაკვებო,
შენ, ჩემო სულო ღრუბლად აყრილო,
შენ, ჩემო ცრემლნო ღვარად ნადენნო,
შენ, ჩემო ენავ კაჟზე ნალესო.

მიკურთხე ღმერთო, სამშობლო, ჭერი,
მკლავი და მაჯაც ნუ მომეღალოს,
მიცოცხლეთ ხალხნო, მიწა და ერი,
ყანა და ზვარი არვინ მოშალოს.

არ აგვიმღვრიონ მდინარეც წყნარი,
ქუსლი არ ჩასცენ ანკარა წყაროს,
არ წამოვიდეს ლექი და შლამი.
არ წაიშალოს ნაპირი აროს!

და მეც დავდგები – რის სადარაჯოდ?
სათავეს განი, დადუღაბება,
ჩემო სამშობლოვ, გეზარდოს შვილნი
არა ინდომო სხვა გამდიდრება!

მერე მოუხმეთ სუყველას ზევით,
ყველას ხელებით აჩირაღდნება,
ალყა დაარტან ამ ჩვენს სამშობლოს,
ჩვენც ჩაგვაყენონ მეციხოვნებად.

იდინოს წყნარად სიცოცხლის ძალამ,
გზანიც გვინათოს ედემის კვარად.
განი მაგ დიდ წრეს, სიმრავლე ალამს
თქვენ საქართველოვ,
გერქვას სულ მუდამ,
სახელად ერი, სიცოცხლე გვარად!

თივა

მოთიბულ ბალახს, მის სურნელებას,
ვერ შეედაროს ვერა და ძალა,
შეკრული ბურთად, მზის ცისარტყელაც,
დახტის და დარბის, შვლის ნუკრის დარად.

რატომ მინდება, ერთხელ ფეხშველამ,
მოთიბულ ბალახს, წამოვკრა ფეხი?
შევიგრძნო მიწის ამოძახილიც,
და მას ჩავძახო – ჩვენი ხარ, ჩვენად!

მეტი რაღაც ვთქვა, – განა ვის ძალუძს,
ბალახი თიბოს, ქართველის დარად?
უბრალოდ მიყვარს, ბალახიც, მიწაც,
ერთად ვისწავლეთ, სირბილიც ცერად.

უბრალოდ არა! ძალიან დიდად,
თვალს კვლავ ვუსწორებ მიწას და თივას,
მიყვარს და მიყვარს, რაღა ვქნა ეხლა,
ჩავეკონები მართალს და იას.

ავაბულულებ ფიწლით და კაპით,
წამოვახვავებ ჰო, დიდ ზვინებად,
იდგეს და იდგეს, დავტკბები ცქერით
ეს სიმდიდრეა – მეც მოვკვდე ნებად.

დღე

ო, საოცრებავ, ჩემო მიწავ,
ერთხელ და კიდევ,
ისე და ისევ...

მაგრძნობინე ჩუმი თრთოლვა ალისფერ ტუჩთა,
უბრალოდ პურიც დამაჭერინეთ,
და დამღალეთ მისი ცქერით-სურვილით მინდა

მახსენდება სიცხეში, ბუღში,
მე ჩავუარე ყანას ზვიადს, ოქროსფერ ფერთა,
ოფლშეუმშრალი, ენა დამსკდარი,
დიდ წყალთა და კახთა ველთა.

სინამდვილეში ის დღე დამრჩა ფიცად მოსაგონარი,
კიდევ ირწევა ყანა ჩვენთა, ვით აკვანი დასაფიცარი.
თავმოდრეკილი, დამძიმებული, თავთუხთა ფერთა,
ის დღე მეძახის, რაღაცა უნდა...

დინება

აი დინება,
თვითდინება?
პოტენცია და
ენერგია ...

ღვართ შეცოფება,
წამოსული წარღვნად
და დელგმად...

შენი ცოხვრება
რომელს ჰგავს ნეტავ?
ჯაბნად ქცევას
თუ ლუკმის შოვნას?
დამკვიდრებას თუ
ფუძის მოშლას?

მაგრამ...
თუ ხედავ მთებში
მოვარდნილ ღვარცოფს,
წამოსულს სამტროდ,
მაშინ გამოდი
არ ენდო მაგ წყალს...
მე კი მაინც,
ვირწმუნებ ძალას,
ძალას მარჯვენის,
ძალას განგების,
ჰო, დინების
რომელიც არის.

სული

შენ სულო ჩემო, ან კიდევ სხვისო,
ყველასი ერთად, შეკრულნო მკვრივად,
სულო ნაზო, სულო დამყოლო,
სულო მყოფევ, მსხვრევადო თუნდაც.

სულო ძლიერო, ხორხისმიერო,
მოგუგუნევ, ცეცხლო, ტრიბუნო!

სულთა მკვლელები!
ჰო, არსებობენ ისინიც ალბათ,
რატომ კლავენ სულს შეურყვნელს,
სუფთას, კამკამას?

ცეცხლი შემინთეთ!
დე, წამოდუღდეს ჩემი სულიც,
დე, ცას მისწვდეს იგი სული –
უძლიერესი!

შენ დიდო ღმერთო, კიდევ ჩამიდგი
კიდევ ჩამბერე, სული უფერო,
არამსხვრევადი, არა ყინული.

სული ერისთვის, სული ქვეყნისთვის.
თუნდაც უბრალოდ,
ჩემთა სულიერ, ხან უსულო,
აფხაზ, ოს და-ძმათა
ხელახლა შერიგებისთვის!.

დათო (ოძელას) ხსოვნას

ბუნება

მიწავ ღვთის და წყალო განგების,
ქმნილო როგორ აბა ვინ იცის?
ნებავ კლდეთა, თოვლიან მთათა,
ნებავ სიცოცხლის მიწის და ზეცის.

მიყვარს წყარო – სალი კლდის ცრემლი,
მიყვარს დევნა ხოხბების ტყეში,
მიყვარს ფუტკართა ბზუილი შრომის,
მიყვარს ლივლივი, ქორიც ხომ წივის?

მიყვარს მტრედების, იხვების ფრენა,
მიყვარს მწყერთა გოგმანი, ფერი,
ტახის ღრუტუნი ჭალებში – მსხვრევა,
ლაწა-ლუწი, ხმელი ტოტების – სერიც.

აზვირთებაა დიდ წყალთა ჩვენთა,
ენგურ, არაგვთა, შავ ზღვათა წყალთა,
ნაყუმბარევნი ციხეთა ჩვენთა
ცრემლნიც ნადენნი ჰო, ჩემთა ერთა!

ეს ბუნებაა ქართველთა მოდგმის,
კიდევ მიყვარხართ, მიწავ და ღელევ,
ნაშობნო მხოლოდ, ჰო, ცვართა წვეთთა,
იმარჯვე ერო, გვეყოფა წყევლა,
გვეყოფა ღელვა.

გვეყოფა სრესვა, ჰო, მწიფე ლეღვთა!

ტყვია

ტყვია გავარდნილი, მტერიც დავარდნილი,
მტკვარი გულზვიადი, გაზაფხულს მოვარდნილი.
სიკვდილი საოცარი, შუბლი გახვრეტილი,
გული გაგლეჯილი, ხელებიც დაფლეთილი?

ვაჟკაცნი არ გამქრალნი, სულნი ტყვედ ნაწვალნი
პურის ყუა გაყოფილი, ყავარჯნები მილეწილი.

სიცოცხლე ცად აჭრილი,
ნამატი გადათვლილი,
ქვევრი თავახდილი
ტყვია?
ტყვია მიზანს აცდენილი.

ეს სამშობლოა, იცოდე!

თეთრი ქათქათა ღრუბლები,
მთებს ზეწრად გადმოუშლია,
შავი, შავტუხა ქოჩორიც,
მას კიდევ ვერ უვარცხნია?

როგორ მინდება შეხება,
ნისლში შეხწევა მალულად,
ხელიც ვკარ, მივფანტ-მოვფანტე,
მკლავნიც შევმართე თოფ-ლულად,
კლდეს გადაშვება მომინდა.
თითქოს მეც ფრთები მოვიბი
ზე ავიწიე, ავფრინდი,
ღრუბლებს? – დავაწექ ორბივით.

და ეს, ღრუბელიც თამაშით.
თითქოს მიცოცავს ურწმუნო,
მიიწევს ზევით, სულ მაღლა,
მთის კალთებს, ვახშმად არ წუნობს.

ზოგჯერ არ იძვრის ღრუბელი.
მთას, მას არასდროს ციოდეს,
გულშიც გვიხუტებს ქართველებს!
ეს სამშობლოა, იცოდე!

განთიადი ალაზნის ველზე

ღრუბელთ ნაფლეთთა მსტოვრები,
მზეს აეფარნენ ჯიუტად,
ალიონია, თენდება.
ცვარნიც ბრწყინავენ, რა ნებად?

სხივთ ფრქვევა სავარცხელსა ჰგავს,
მთებს, მინდვრებს თმებს ხომ უვარცხნის,
ალბათ ნაწნავსაც დაუწნავს,
ჟამი უდგებათ, რა მშვენის.

ჰოდა, იმძლავრა დიდმა მზემ,
ღრუბლებს აასწრო, აცურდა
მიჰფანტ-მოჰფანტა ღრუბლები,
სამშობლო? – ეს საოცარი.

მზემ აბულულოს ნათიბი,
ნიავმაც აშროს ბალახი,
აფიცხოს, აქოს ნამკალი,
ეს ერი, – მართლა ხალასი!

ქორწილი

აი, ქორწილი, ჩონგური უკრავს.
წკრიალა ხმები ნიავს ერევა,
იქით დოლი სცემს, ფეთქავს, დუდუნებს,
გულს უხარია, როცა მას ვუსმენ.

ამ დოლის ხმაში მესმის ძახილი,
ჩვენი მამულის და ჩვენი მთების,
ჩემი სამშობლოს ჩუმი ღიმილი,
და ჩანჩქერების ვნება, სიცილი.

აგერ ყანწებიც ჩამოაწოდეს,
განა ღვინო მსურს ძლიერ წყურვილით?!
ეს ისე არის, გულს უხარია,
ასწიე შენც და შესვი სურვილით!

ბოლოს ყველა ხომ წამოიშლება,
სიცოცხლის ხესთან ვდგავართ დამრჩენნი,
შენ ჩემო მიწავ და შემართებავ,
არ მოგეშალოს აკვნის დამრწევნი!

ასე და ასე, ვთქვათ, სილამაზე,
ჩვენი მეფენის, ყველა ნეფენის,
მე ვადღეგრძელებ ქორწილებს ყველას,
ჩვენი მომავლის კვლავ აღმაფრენის!

ცის მაგიერ მფარავს მიწა

მინაწერი საფლავის ქვაზე,
სიღნაღის რ-ნის სოფ, ბოდბისხევში

ცის მაგიერ მფარავს მიწა,
გავიფანტე როგორც ნისლი.
მე მკვდარი ვარ, ცოცხლობს ერი?
დამაყარეთ თუნდაც ისლი.

ვინ იყო, რომ აღაშენა
ჩვენი მთები თვის ქედებით,
ზედ დაანთო მზის სანთლები.
ნუ მიტირებთ გეხვეწებით.

ალაზანიც მოდის ნელა.
ის მზის კუდზე არ უბმელი,
თუ მოხვალთ და დამიტირებთ,
მე ვიქნები კვლავ უთქმელი...

შაშვები

შაშვები გალობენ, გალობენ ოცნებით.
ეძებენ ერთმანეთს ძლიერი სურვილით,
ერთი კი მეგობარს გასძახის თავახრით,
ვერ ბედავს სიყვარულს, ზამთარი არ მიდის, არ მიდის...
იებიც ჯარებად, რამდენნი მოდიან...
სიყვარულს, გაზაფხულს ისინიც ელიან.

გამოჩნდა მეორეც, შესძახა – აქა ვარ,
მოდი ერთად ვუსტვინოთ, დავატკბოთ გარემო,
ვლოცოთ საქართველო, დავწყევლოთ ბოროტი,
კაცი უტვინო...

ვლოცოთ მინდვრის მხვნელი,
ვლოცოთ მუშა კაცი –
ხელებით დაკოჟრილით...
ვადიდოთ საქართველო,
თავისი შემართებით.
შაშვები გალობენ,
გალობენ ოცნებით!

დავბრუნდეთ

დავბრუნდეთ ჰო, ჩვენ აფხაზეთს,
ხარნიც მივუშავთ თვისნებად,
წინ წავუმძღვაროთ სანთლები,
თან შემართება – ოცნებად...

იხარეთ: მთებო, ტყეებო,
თან ნადიკვარის იებო,
ფიქრის გორაც ხომ აქვეა,
რად, მიჯავრდებით ღრუბლებო?

კვლავ ჭიკჭიკებენ მერცხლები,
ომში დაცემულთ ტირიან,
ჟივილ-ხივილით უხმობენ
იქ, იმ დარჩენილთ ელიან.

წამებავ გულის ერთისა

ფიფქნი და ფითრნი ფარულად,
ერთ მსხალს ეფერნენ, საოცრად,
ქარნიც აფრინეს აფხაზეთს,
ცრემლიც ჰო, ღვარეს მალულად.

მტრედნიც ფრთით ნიავ ნაფრენნით,
ფიანდაზ იას ეფერნენ.
ლურჯი ხარ, ცისა ნაფლეთო.
წამებავ გულის ერთისა.

მერე, მე რა ვქნა, ვინ ვფიცო,
რომელი კუთხე ქართვლისა?
სად მიგაქვთ ჩვენი მიწები,
მიირთვით ბალახ ხვართქლისა.

მე ხომ კვლავ მივსდევ თეთრ ღრუბლებს,
მივფრინავ ჩემის ფრთებითა.
საფანელ ფქვილ-ტკბილ მოყრილი.
ვარჩიოთ მტერ-მოყვარისა.

სისწრაფე

თუ სისწრაფეა სადმე,
სიჩქარეც თან არს მასში,
ჩართეთ ძრავები მძლავრი,
შორს გამიტაცონ ცაში.

მინდა შევეხო ვარსკვლავთ,
უცნობთ, საოცარ ღვთის ხატთ,
ნეტავ ვინ ხატა ცანი?
მურა ბაჯბაჯას ტანით?

მე ვიგრძნო ძალა სრბოლის,
თავბრუდამხვევი ქროლვაც,
გულიც ვერ იტანს შორ გზას,
სისხლი? მაწვება ჩქროლვად.

ხელით ნატყორცნი შუბიც
ჰაერს მიაპობს ლაღად,
ფიქრნიც ნატყორცნი სოხუმს
არ ბრუნდებიან განსჯად.

ვინმეს, რა უნდა, ვიცი?
ფრთამალთ მივყვები მზისკენ,
ვარსკვლავთ კაშკაშიც მწველი,
გზას მონათებენ ღვთისკენ.

ჰო, ეს სისწრაფეც სხარტი,
ისარს ეჯიბროს „შვინდაც“,
ოღონდ შევიგრძნო იგი,
სისწრაფე?
სისწრაფე – როგორც მინდა.

მზის ჩასვლა

როცა მიჰქრება მზის ათინათი,
შეფერმკრთალდება ცა ძოწეულით,
გავხედავ ზეგნებს, იქ მთაგრეხილებს,
კვლავ მომედება დარდი წყეული...

ცა წყნარი არის, შევხედავ კიდევ,
თვალი ქვავდება მათ შემხედვარი,
თელაც წყნარად დგას არ ეძვრის ტოტი,
გულიც ხომ ფეთქავს, თუ არ ხარ მკვდარი?

მთები კი დგანან რა ზვიადები,
თმაჭაღარები, თმებ-შევერცხლილნი,
ფიქრში გართულნი, შუბლშეჭმუხნულნი,
დიდი ოცნებით? დიახ – დაღლილნი.

ელოდებიან, ვიღაცას ჩუმად,
ზოგჯერ ქარიშხლებს არ თაკილობენ,
ვახშმად სხდებიან ქარაშოტებთან,
სანთლებს ანთებენ და ლოცულობენ.

კალმახი

კალმახს რად უყვარს მთები?
ან ცივი წყალი, შფოთი?
რად მიიჩქარის ზევით,
ეს ჩვენი სუფრის ლოთი.

თუ მოისურვა უცებ,
აღმართს აყვება ფიცხელ,
ცივი წყალია, ცივი.
შესვი? გაამოს ფიცხელ.

და ეს სიგრილეც მშვიდი,
სახეს მიკოცნის რწმენით,
მინდა ავფრინდე ზევით,
კალთას ვემთხვიო ზეცის.

მხოლოდ კლდეები ღორღად,
გაშიშვლებულან ურცხვად,
არც ხე, არც ბუჩქი არსად,
ღრუბლები მხოლოდ ცურვად.

განაბულია, სუნთქავს!
ძალას მოიკრებს ვიცი,
აიფაფრება მიჰყრის,
ქვირითს, იმედს და ვისიც.

მერე თავს ჩავხრი მწარედ,
უნდა გავშორდე დიდ მთებს.
ქვევით მოვდივარ ბარში,
ვემშვიდობები ცივ წყლებს.

ენა

დაიძარღვე ჩემო ენავ,
ფესვიც გადგი ღრმად და მძლავრად,
ვერაფერმა, ქარმა, წვიმამ.
თოვლიც მოდის ბარე ხვავრად.

განიტოტე ძარღვ-მაგარო,
გამიჩუმდი ჭირ-მდუმარო,
კაცის გულის გასახარო,
მოდი კარგო, ჰო, სტუმარო.

შენ მიმრალე ჩიტუნები,
ნერგის ხვალე სამომავლო,
ბევრი შვილი, ბევრი შვილი,
ბევრი შვილი ჩამომავლო.

სიტყვა და სეტყვა

დაიკლაკნება რა ელვა,
მწითურ ფერ-ლურჯა გველივით,
შუბლით მრისხანე შვიდცოფა,
ცის თაღებს ვერცხლად ეყოფა?

მერე კი გადიკარგება
იქით შორს, სადაც უშორესს,
რასაც მისწვდება მისრესავს,
სიცოცხლეც ხომ აქვს უმოკლესს?

თანაც თუ ვინმე მოიგდო,
მეხსაც დაუშენს მკვეხარებს.
თუ ვაჟკაცი ხარ შეხედე,
ელვაც ნატყორცნი ბერ-ბიჭებს.

დიდათ აღმართეთ კედლები,
ძვრაც, რომ ვერ უყონ გდებისა,
ელვა ხომ ანასხლეტია,
გულბოროტ ღრუბელთ ძმებისა.

არვის ენანოს ქართველი,
სეტყვა ყინულიც დაირჩა,
ზვარი, მამული რად მიდა,
თუ მარტო ლერწი დამირჩა?

დაე ვიტიროთ წასულნი,
ეს ხომ არც ისე კარგია,
წვიმად გადგვექცეს ღრუბლები
სეტყვა მტერს – მართლა არგია.

ჰო, ღმერთი გვიდგას დარაჯად,
სიტყვაც სეტყვად გვაქვს ქცეული,
ვერას დაგვაკლებს ფერჭრელი,
ერი მყავს მირონცხებული.

ვარციხე

მე ვარ ვარციხე, ვდგავარ, ვიქნები,
მტრის და ბოროტის ღრძოდ და საშურად.
ქვა ვარ, ქვა-რკინად დავრჩები მუდამ,
მე, მზე დამნათის დროის საბრუნად.

მე ავმაღლდები ცითა და ზეცით,
ნეტავ სად არის ის ჩემი ერთი?
მე ვარ დუღაბი, ჯვარი და ცეცხლი,
მე ვარ მრავალი და ერის კვერთხი.

მე ველოდები ახალ ალიონს,
ახალ განთიადს, ახალ მზის ასვლას,
ახალ ათინათს!

ტყვიას გავხედნი ფეხშველი

ტყვიას გავხედნი ფეხშველი,
მზე-მტვერთან ნათამაშები,
ზუსტად ნიშანში მოვარტყავ,
არ ავაცილებ გპირდებით.

თექვსმეტი, ცხრამეტი წელი,
აი, ასაკი კაცისა,
თუ ვინმემ მაინც გვიმტყუნა,
ამართლეთ – ის ხომ ცხრაჭკვისა.

ოთხი შვილ მაინც გყოლოდეთ,
ბოროტის თვალის სათხრელად,
ქართველნი კიდევ გამრავლდნენ
ზღვანი, ჩანჩქერნიც ჩვენს წყლებად.

გუთნისდედა

გუთნისდედა აღარ არის?
აღარა გვყავს მეხრე ღამის?
არ ჭრიალებს აპეური?
აღარც მრგვალი თვალი ურმის?

არ ღიღინებს გუთნისდედა?
რ გაჰკივის ბუ წყნარ ღამით?
ჰო, სიო კვლავ უბერავს,
შირაქში და ივრის მხარით.

სიღნაღია დაჯანღული,
ნისლიც დადის განაბული,
ალაზანი სადღაც იქით,
ჯავრს ეყრება დაზაფრული –

გუთნისდედა აღარ არის?
აღარ გვყავს მეხრე ღამის?
არ ჭრიალებს აპეური?
აღარც მრგვალი თვალი ურმის?

პეშვი

კაცი აღზრდით შემიფასეთ,
ქალი კდემით დამშვენდება,
საქართველო დაფლეთილი,
აბა როდის გამთელდება?

და მაჯაც არ მოგეღალოთ,
ცელის ქნევით, მართლა მჭრელით.
არ აცოცხლოთ ორპირები,
არ უცინოთ კბილით ჭრელით.

სული სიტყვით განიკურნოს,
ერი ზვარშიც გამელუმპოს,
ცრემლნადენი საქართველო,
ღვინო თეთრით გამერუმბოს.

კიდევ? წყალი შესვით წყაროს,
გაიგრილეთ გული ცხელი,
ქართველი, რომ წავა მიწას,
ერთი პეშვი უშურველი.

მიაყარეთ მიწა კუბოს,
ღმეთთან მერე მიგესვლებათ,
რა დროს ვინმეს სიკვდილია,
ხალხი ვართ და, რა მშვენება.

სახე და ვარდი

სახე ნორჩი, ჯერ ახალგაზრდა,
სუფთა, ფაქიზი,
ისე იშლება ვით კოკორი,
ვარდი აზიზი.

ერთხანს კარგია, გაბადრული და
სხივნათელი,
მერე კი, მასაც სწვდება ჭკნობა.
ჟანგი მჭამელი.

და თუ ცხოვრების სიდუხჭირემ,
შენ არა დაგაჭკნო,
ქალი იქნები ბედნიერი აწ
და მარადის.

მაგრამ, ბოლოს ყოველი სახე,
იღარება და ნაოჭდება,
ბოლოს? ბოლოს კვდება, ქრება,
უკუნითი, უკუნისამდის.

სული? სული არ კვდება –
დე, კვლავ იცოდე,
შენი სახე, შენი სული,
კვლავ აწ და მარადის.

ერი

ნატყვიარი გრანიტი და
დაშანთული მტკვარი,
დაფლეთილი მანდილები,
ნაძმარევი ქარი?

შესუდრული საფლავები,
სხვა ფერიც ხომ ბევრი,
დაჩეხილი გოგონები?
ჰო, შემდგარი ერი!

ნატყვიარი გრანიტი – 1956 წლის 10 მარტს კინოთეატრ „რუსთაველის“ გვერდზე შემჩნეული ნატყვიარი.

სიცილი? – კიდევ მოგვინდეს

მინდორს ეძალა ნახირი,
აგერ აჩრდილიც ბურთად,
წყროც ჩურჩულებს თავისთვის,
ყველამ შევფიცოთ ერთად!

ველ-მინდვრებს, ტყეებს, ღელეებს,
ზვრებსაც – ნაომარ კლდე-კარებს.
ქართლს, კახეთს, კიდით-კიდემდე,
პატრონი უნდა – სანახებს.

და ეს ქუხილიც საავდროდ,
გადაიკარგოს, გაგვიქრეს.
წავიდეს – აღარ მობრუნდეს,
სიცილი? – კიდევ მოგვინდეს.

სამშობლოს კვლვაც დავაკვდეთ,
შვილნი ვიფიცოთ – რად მკვდარნი?
ჩვენ არ გაგვიქრეს ილაჯი,
მტერო კი – გაწყდეს ჯილაგი.

ადამიანი

ვეძებ დასტურად,
სიტყვას ნამდვილს, არა მაცდურად,
ვეძებ კაცის ძეს,
ადამიანს არა მალულად.
ყველა ქართველი ნატანჯ მიწაზე
                    დავბადებულვართ?
ადამიანო უპირველესო!
პირველობა ვიცი გიყვარს გამორჩეულად,
იყავ კაცის ძე, არა ცხოველი,
არ გაიმეტო, შენ არავინ დასამიწებლად!

გრდემლი

გრდემლს შევთხოვ, რომ კვლავ აჟღერდეს,
როგორც ჩონგური ქართული,
ჭედოს სახნისი, ნამგლები,
ბარნიც, თოხები, ნალები.

მოდი ავისხათ აბჯრებიც,
ამ გრდემლის ახლად ნაჭედი
დიდგორს ავიდეთ, ვიომოთ,
ღმერთს ვთხოვოთ დასტურ ბეჭედი.

მიდი დაკვერეთ ქართულად,
ხალიბთა ჯიშის ჯილაგნო,
კვერეთ მზე, კიდევ გუთანი,
ჩემს შვილებს ვეღარ ვედავო.

კვლავ კვერეთ დიდი ურმულიც,
დიდ ვანოს კაცის ნამღერი,
ოფლიც გედინოთ წურწურით,
არ ჩაგიჟანგდეთ ძარღვები!

თამაში

თემურ-ლენგ თვლემდა თვალდათვალ,
ცერ-თითნიც სიმზეც თრთებოდნენ,
თამარის ხალხთან თამაში?
თმებს აგლეჯინებს ჭალაში.

თოვლმა თუ ხვავრად მოთოვა,
ვერ გაიმარჯვებს თემური,
ვერ შეაღწიოს სათოფეს,
ქართველი ერი, საშური...

მკლავი თოფმომარჯვებულიც,
მოვხუჭე თვალიც ფეხდგომით,
თითი გამოვკარ ჩახმახს და
ერი დავლოცე აღდგომით.

ჩვენ? – არ ვაპირებთ არავის დასჯას

მზე ეფარება გორას.
ისიც სულ მალე ჩავა,
იქ, შორს დაანთებს ცისკარს,
სადაც აფხაზნი მზის დარს?

სინანულით და დარდით
მზეს ეღიმება მწყურვალს!
როცა აქეთ და იქით,
ვერავინ ნახავს „მცურავს“.

სიხარულსა და ერთ მზეს
მხოლოდ კისკისი მოაქვს,
დაველოდები ჩემ ჯერს,
დაველოდები ჰო, აზროვნებას, განსჯას,
ჩვენ? არ ვაპირებთ არავის დასჯას.

ჩირაღდანი

ჩირაღდანი ხელში, ჰო, ცეცხლია მზეშიც,
წყალი იწვის მტკვარში, ხეც იზრდება ტევრში.
ეს ქვეყანა ჯავრში, რა მარჯვენა – ამღერება ქვებში
ეს ცხოვრება შემართული, ადიდება და... გაზაფხულის თქეში.

მოყვრად წასვლა, შემღერება გზებში,
შემოდგომა – ღვინო ცეკვავს ქვევრში,
ქორწილია, – მას უხდება გამრავლება ძეში,
სილამაზე, სათნოებაც, კვლავ სილაღე ერში!

მოქმედება

შენთა გონთა კვლავ აზროვნება,
შეფასდეს უნდა როგორც ქმედება?
მოიმოქმედე ცუდი რამ ავი,
პასუხი აგე – აი, წესდება.

ქმედება იწვევს უკუქმედებას,
ეს ჯერ გასწავლეს, სადღაც სულ აგერ,
თუ უშვებ აღვირს ცხენი გაჭენდეს,
ვინღა მოჰკითხავს მას აზროვნებას?

თუ წყალი მოსჩქეფს – ბრუნავს ტურბინა,
სინათლეს გაწვდის, გაპურებს, გათბობს,
აი, ქმედება და მოქმედებაც,
ისწავლე ერის, ჰო მოფერებაც,

თუ შვილს გიღუპავს ვიღაც უგვანო,
შხამავს მოქმედი შხამით ნელ-ნელა,
აიღე კეტი, მოსპე ვერაგი,
მერე ტყეს შედი, კრიფე ენძელაც.

და კვლავ ქმედება, მუდამ ქმედება,
მოძრაობაა სიცოცხლის ქმედი,
აამოძრავე ქვეყანა ჩვენი,
აამოძრავე სოფელი ქედიც.

ქართველი

არ დამავიწყდეს, რომ ვარ ქართველი,
ხმალი წინაპრის სადღაც კიდია?
ჰო, დამეკარგოს სინდის-ნამუსიც,
თუ მე ეს სული ჩვრებში მიგდია?

მე პოეტი ვარ? არა, ვაჟკაცი!
უბრად მოყმეც ვარ ქართულ ზღაპარში,
მე აჩრდილი ვარ დიდ კახთა მოდგმის,
თუ ვაჟას ფესვთა ამონაყარი?

იხარე, ერო!
წყარო, ღიმილიც ნუ მოგეშალოს,
არ დამავიწყდეს, რომ მე ვარ მხოლოდ,
ნაღდი ქართველი და საქართველო!

სიყალბე

ჰეი, შენ სიყალბევ, მრუშთა და ფულთა...

ყველას არ ძალუძს სიმართლე ქველთა,
მართალი უთხრან, როცა ვინ კვდება,
ყველგან შეგხვდებათ სიყალბე ოდნავ,
თუნდ სატილარში – ქორწილშიც ჩნდება.

ამაზრზენია სიყალბე კაცთა,
როცა არ უყვარს, ეხვევა ქალთა,
როცა ვერ სუნთქავს ლაღად და მშვიდად,
როცა სიყალბე იმარჯვებს ბრიყვთა?

ვიყოთ გულწრფელნი, სიყალბეს არა!
მხოლოდ სიმართლით, ერთმანეთს გზნებავ!
ნაღდი და ფლიდი ვინ გაარჩიოს?
თუ არა შენ – კეთილო ნებავ?

ჰო, მე ვაჩერებ ჩემს აზროვნებას!

შემომეგებეთ კლდენო მაღალნო,
ხომ დგეხარეთ მყარად, თქვენს საუფლოში!
გვიბოძეთ ჩვენც და ქართველთ სისალე,
რად ვცხოვრობთ ნეტავ, ყიამ ამ დროში?

მომისპეთ ყველა, აუგი, გვანჯიც,
რად გვეცილები, ოსო ჩვენს მიწას,
როდის მოხვედი, როდის დამკვიდრდი,
ჩვენი მიწაააა, არა გაქვს დარდი?

კიდევ აფიცეთ პლანეტაც ჩვენი,
ერთი სიტყვისთვის ჯორდანო დაწვეს,
ჩვენ ქართველები, კიდევ ვართ ყველა?
ქრისტეც გააკრეს, აფხაზოც ნელა!

დიახ ვაჩერებ ჩემს აზროვნებას,
არად დაჭირდეს ქვეყანას ჩემსას?
სულ გაწყვეტილა მომხვდური მტერი,
ძალით მეახლონ? არადა ერსაც.

ვაზი

ვარჯი ვაზისა ვაზომე,
ვზომე და ვერ გადავზომე,
მივუალერსე, ვემთხვიე,
ჩავიკარ, მზესთან ვაომე.

ხელს მივაჩვიე ვარგისად
მისი რქა, მერე მტევანი,
ავასულდგმულე, ჩავუთქვი,
ვისია კარგი ჩვევანი?

ვკრიფე და ვკრიფე მტევნებიც,
მტრის და ბოროტის საშურად,
ჭერს ვკიდე ოფლით ნაშრომი,
ჩვენ შვილებს – კვლავ სიყვარულად.

მომეცით ხელი

თუ სურვილია სურვილი, იყოს,
რად დავიშურებ შენთვის მსოფლიოს?
თუ გინდა თქვენთვის, საქართველოსთვის,
ვიქცე მე ფერფლად და გავილიო.

შენ კარგად იცი, არ ვარ მოშურნე,
რად არა ვხმები, წყლის მოცქირალი?
გატაროთ ღმერთმა აღმოსავლეთით,
მზისკენ, ზეცისკენ და უტირალი.

თინათინ, ნათინ და ნათელები,
ნუ მოგვიშალოს ერში ქალები,
ერიოს მეფეც თამარის დარი,
და ნესტანებიც – ცრემლნიც მზარები.

ვალში დაგვრჩება ყველა ორპირი,
ვინც კი არა იცის სამშობლოს ფასი,
არ ცდება მხოლოდ, მშობელი ერი,
სურვილს ნუ მიკლავთ, მომეცით ხელი!

საქმე

დაიწყე? – ასრულე საქმე და კეთილი,
არ აჰყვე ენებს, ბოროტებს, ავებს,
მიჰყევ ბილიკს სიმართლის მხოლოდ
არ შეუშინდე თოვლიან ზვავებს.

საქმე მართალი, საქმე მტყუანი,
საქმე ზარმაცთა? საქმე მშოვნელთა?
ნუ დამასაქმებთ, ნურც გამახარებთ,
საქმე მომეცით, მე ვარ მშრომელთა!

საქმე ჭარტალთა, საქმე მზაკვართა,
საქმე უსახურ, ბინძურ მსახურთა,
საქმე კეთილი, საქმე ბოროტი,
საქმე ბრძენთა, პურის მცხობელთა.

მხოლოდ შენ ძალგიძს – აჩინო საქმე,
საქმე რომელიც ერს განადიდებს,
ჰო, საქმე უნდა, სამშობლო –
ჯადოსნურ ლამპარს,
ერთიან საქმით – მტერს დავამარცხებთ.

სვლაგეზი

ვარ სიდუხჭირე ამ სოფლის ნუთუ,
მიწას ვამძიმებ რატომ და რისთვის?
თავსაც მოვიკლავ თუ ვერ ვიმარჯვე,
არ ჩავიფერფლე მხოლოდ ერისთვის?

დილით მზეს ვხვდები, საღამოს მთვარეს,
მტკვარს მივაცილებ თვალებით ჩუმით.
წერილს გავატან ჩემს ალაზანთან,
ის მაინც მიდის...

მთებს, ტყეებს, დანაცრულ ნაძვებს,
თოვლს და მყინვარებს დავეთხოვები,
ფრთებს გამოვიბამ და მერე სადმე,
უგზო-უკვალოდ დავიკარგები.

მაგრამ მოიცა, ყური მივუგდე,
ქარი რას ამბობს? – სმენად ვიქეცი,
შემომესალმა, შემომემხვია,
თან ჩამჩურჩულა ყურში ნაზი ხმით.

შენ აგიზგიზგიზდი, აიჭერ ცაში,
ღმერთს შეესიტყვე, როგორც დევგმირი.
ხალხი შენა ხარ, ხალხი შენშია,
შენ თუ არა ხარ, აბა ვინ არის?!

ვინ შეასრულოს დიდი სვლაგეზი?
ვინ გამოჭედოს რკინის ჯაჭვები?
ვინ დაამიწოს, ვინ შეაჩეროს,
ჩვენზე მოსული მტრის ურდოები?!.

თუ ცოცხლები ვართ, ვიყოთ ცოცხლები,
ყველა კვდებაო, დიახ ასეა?
მაგრამ ერთი მწამს, ყველას ვაჯერებ,
ამ ერს სიკვდილი არ უწერია.

მთეგი

და ცხვრის ფარები,
შესევიან მთის კალთებს მდორედ,
ბალახს წიწკნიან თავგამატებით,
ნელა ადიან, აღმართს სცდებიან.
მთის სიგრილე, სველი თოვლი,
ფეხებს უსველებთ, თან ასდით ოშხი.

თითქოს მათია ეს სიდიადე,
კვლავ და მზე ადგას კავკასიონებს,
როცა არაგვი ღრუბლებს უჯერებს
და მზის ლურჯაი სჩადის ოინებს?

თითქოს ჩოხები აცვიათ ლურჯი,
დანავარდობენ – ცეკვავს ეს გურჯი,
ცად ეცეკვება შხელდა იალბუზს,
და იწვევს წრეში გულდაჯერებით.

ხომ მყნვარწვერსაც უხდება თეთრი,
ქათქათა თოვლი, მანდილის ფერი,
წელგამართული შხარა კი თეთნულდს,
იწვევს დიდ წრეში თავგამეტებით;

მათ შემორტყმიან მთაგრეხილები,
ტაშს აყოლებენ დინჯად, თავდახრით,
ჩუმი ზუზუნი ქარის მუსიკა,
ერთვის ამ ცეკვას თავბრუდამხვევი.

მე უფერული ჭადარი მიყვარს

უფერული ჭადრის ეს ხე, გაზრდილია საოცრად,
რუხი ქერქი რად ასკდება, შემოდგომის დარისად,
სიყვარული მახსენდება, გრძელი თმებიც სარისად,
დერეფანში აღმა-დაღმა, შრიალია კაბისად.

სად გამქარალან ის ფოთლები და ან ქერქი ჭადრისა?
უფერული ჭადრის ხეც ხომ, დღესაც იქ დგას მძლავრისად,
ხან თითს მიქნევს, გაბრაზებით, ხანაც ბუტე-ბუტისად.
ის ჭადარი დღესაც ხარობს, სალამს მაძლევს სალმისად.

წესი

კუბო ჩაასვენეს მუხით ნაკეთები,
მიწაც მიაყარეს ღმერთის ნათითები,
წავიდ-წამოვიდნენ, დარჩნენ საფლავები.
შებინდებისას – ისინი აჩურჩულდნენ.

– ვინ იცის?
– ვინ არის?
– რით მოკვდა?
– რა სჭირდა ასეთი?

– დედა იყო, მშობელი, აღმზრდელი, პატრონი,
შვილი დაჰკარგაო, დიდ ომში უდრონი.
დარდს გადაჰყოლია, მერე მის ლოდინში,
უცდია, უცდია, თმაც გასთეთრებია...
ფორე დაუკარგავსო, იტალიის მთებში;
ფორეს თავი მოუკლავსო, კაცობის გულისთვის.

– იგი თვს არ მოიკლავდა,
– უბრალოდ წესია, სიცოცხლე ქართველში.

ფეხი ავიდგი სოფელ ქვემო მაჩხაანში,
ფორე მოსულიშვილის სახლიდან 500 მეტრში

მზე

არ შეაჩეროთ, როცა ანათებს,
როცა მაღლაა და ზენიტშია.
ასწიეთ ხელნი, ყველამ და ბავშვმაც,
ხელისგულებით – კაცმაც და ქალმაც.

არ ჩამოიქცეს ჩვენი მზე დიდი,
არ გადაბუგოს ქვეყანა, ველნი.
არ დაადუღოს წყალი და მიწა,
არ დამიშანთოს სამშობლო ჩემი.

არ შეაჩეროთ, დე მან ანათოს,
უფრო ძლიერად კვლავ რომ ჩამოცხეს.
უფრო ძლიერად დამწიფდეს პური,
უფრო ძლიერად ამომხდეს სული!

არ შეაჩეროთ სიცოცხლის ღმერთი,
ყველა მიკურთხოს, მიწაზე ძენიც,
ქალიშვილებიც მათ მიაყოლოს
და ქორწილები მრავლად და ბევრიც.

არ შეაჩეროთ დიდ მშვიდობისთვის,
ყველამ გაიგოს, რა არის, რისთვის.
ის ხომ, მიწისთვის ანთებს და იწვის,
მაშ, გაუმარჯოს მზეს დიადს ჩვენთვის!

მძინარეები

ერთ წელს უკან მოვიტოვებ,
კვლავ ავხედავ მთის მწვერვალებს,
ლამაზებს და რა დიადებს,
თოვლთან, მზესთან ნათამაშებთ.

რად იჩემებს კიდევ ეს მზე,
დიდებას და გვირგვინთ პყრობას?
ჯავრად მიქცევს მდინარეებს.
მჟავე წყლებით მერე თრობას?

არც სატირი, დასაღონი,
აბა რა აქვთ, დიდ მყინვარებს,
თავქვე მოაქვთ ცივი წყლები.
რომ მოგვართვან, ჩვენ მძინარებს?

დიდებაო, ჩვენთა მთებო,
აზიდულნო მაღლა, მაღლა,
როგორ დგახარათ, მკვრივად, მყარად,
არ გეტყობათ, არც ხომ დაღლა.

შემოგცქერით, გაოცებით,
მწუხრს გვიმალავთ, გვიჯავრდებით,
მწარე ფიქრნით გვესალმებით,
ზოგჯერ გვსეტყვავთ გამეტებით.

და კვლავ გნახოთ შეფერილნი.
თეთრად, თეთრად, როგორც თოვლნი,
ათასი წლის, მერე, მერე,
ჩვენთ შვილებმა, ჩვენთა სოფლის.

შესანდობარი

ხავსი თუ გინახავთ და ან მღიერნი მრავლად?
კლდეზე ამოსულნი, ცრემლებით მტირალნი?
იქეცით წყაროდ და ან მარგალიტებად,
მაშინ შეგნატრიან ადამიანნი მრავალნი.

და ის ხავსი, ის მწვანე საუფლო,
მოვგლიჯე დიდ სალ კლდეს, – საიდან წვეთავენ?
საწყისი მითხარით, იმ წყაროს მშობელი,
მაშინ გეტყვით – ჩვენს მიწას კვეთავენ.

მერე – სისხლისღვრა, გვამები, გვამები,
სირცხვილი, სირცხვილი, სიცოცხლე არ არის, არ არის,
დიდი სიყვარული ყველა იმ მზეჭაბუკის,
შევძახოთ სურვილით, სიცოცხლე ეს არის, ეს არის.

დე ყველამ იმღეროს სიცოცხლის ძახილით,
ყველა ჯარისკაცი აომოს მშვიდობით,
არ იყოს საფლავი, მიწისთვის რად მკვდარი?
დე იყოს მშვიდობა, დალიეთ შენდობით!

ნიავი

ნიავ-ქარს მიუალერსე,
სული რომ უდგას გრძნეული,
მტკვარს დაყოლილი ოხერი,
მტერიც მოგვადგა წყეული.

შენ ვერ ეხები, ვერც იჭერ,
მარტო პირ-სახეს გიკოცნის,
ემთხვიე მკერდში ჩაიკარ.
ცეცხლიც დაგვინთეს კოცონის?..

მოაქვს თამარის სულისთქმა,
ზე აწეული ჯვარია,
ჩვენს კარზე აკაკუნებენ,
დავით სოსლანის ჯარია?

ფიცი

აი, ეს ხეა მძლავრი,
როგორ იზარდა დიდად?
მიწის სიღრმეში კვლავაც,
ტენს ეწაფება მშვიდად.

ნეტავ ვინ დარგო ეს ხე?
ნირს არ იტეხავს ჯავრად,
რამდენს მოესწრო სახეს,
რამდენიც კარგა უბრად?

მეც მიხარია გულში,
მის ახლოს ჩამომჯდარი,
თუ გამიხსენებს ეს ხე,
როცა ვიქნები მკვდარი?

დე, კვლავ იზარდოს დიდად,
სიცოცხლის წყურვილს იკლავს,
კიდევ ეღირსოს კარგი,
ის ქართველია – ფიცავს!

ვაშა სიცილს, ხარხარს დიდება!

ვაშა სიცილს, ხარხარს დიდება!
მარადისობას, სიცოცხლეს ვაშა!
ანათოს ერმა ჩვენი მზის დარად.
გამარჯვებულნიც გვევლოს და მყარად!

ვაშა სიცილს, ხარხარს დიდება,
ვაშა შენებას, დაკოჟრილ ხელებს,
მე გამიგია სიცილიც მწარე,
და რამ ხარხარიც, მდარეა, მდარე –

და კიდევ ვიცი სხვა საოცარიც,
სიკვდილის დროსაც ზოგს ეცინება,
თუ ვაჟკაცია, თუ ქართველია,
დარდს არ იტოვებს და ეღიმება.

გაეღიმება, აეტირება,
მხოლოდ სულს ძლიერს, ფეხად და მარდად,
მხოლოდ სიცოცხლეს მხოლოდ ოცნებას,
ძალუძს გვირისტით სიცილის ქარგვა.

არ დავამთავრებ, არ ჩავანაცრებ,
ჩემს სიტყვას სათქმელს, ოცნებას დიადს,
უბრად წყალს შევსვამ ოდნავ ჭიქიდან,
რომ არ მოგვაკლდეს წყალი რამ ჭიდან.

მერე – ყველა ხომ დავეწაფებით,
სულს ვერ მოვითქვამთ, დიახ, თენდება,
ჩვენ აქ ჩამოვსხდეთ, კიდევ ბრწყინდება,
ვაშა სიცილს, ხარხარს დიდება!

საჭრეთელი

გელათი, მარტვილი, სვეტიცხოველი,
ვარძია, ოშკი და ეს სამება,
ააგო მარჯვენამ, წვამ, აზროვნებამ...

ოცდები, კვირდები, ჩუქურთმის ფერხულში,
შეჭრილი დიდ წრეში, გონებით ბრუნდები...

რა ძალა, რა ხელი ანიჭებს სიცოცხლეს.
ქვას დამუნჯებულს, ენას ჩავარდნილს?...

საჭრეთლის მომგონი არავის არ ახსოვს,
მისი გამომჭედი, დღესაც არსებობს,
პატივი მივაგოთ რომელიმეს,
ამას?
ამას, მე ვამბობ!

ცეკვა სამაია

ცეკვა სამაია, მხოლოდ ქართულია,
ხელთა შეჯაჭვება, კდემა ქალწულნია,
თვალნი ნახატნია, მშვილდთა მოზიდვაა,
წამწამნი აპყრობილნი, ლერწამთ კონებია.

სამთა შეწყვილება, ცეცხლის ენებია,
მკლავნი ნათალნია, ტანი ქანდაკნია,
მაჯა ნატეხნია, ოქროს ზოდებია...

სამთა სილამაზე მართლაც გრძნეულია,
მათი შემოხედვა დიდზე დიადია.
ცეკვა სამაია?
მხოლოდ ქართულია!

სიკვდილი

ლოდთ, ნატეხთ შავ-ფერ მიყრილთ,
თითქოს ნათრევებს თმებით,
ხავსიანთ, ნაგლეჯთ, ნაბზართ,
ნაწვალებთ დრო-ჟამ წლებით.

ნალოკთ ქარით და წვიმით,
წაშლილ წარწერებს – სეტყვით,
ჩვენც ვიკარგებით, ვქრებით,
მარადისობას ვერთვით...

და კიდევ ვიღაც უხმოდ,
ჩუმი და ნელი პარვით,
დადის ღამეულ ლანდად,
მხარზე გადგმული ბარით.

რომ მტვრად აქციოს ბელტნი,
შორით, გაჰფანტოს შორით
აღარ იხილოს კაცმა,
სიკვდილი მყრალი შმორით...

სვეტად და ბურჯად

შეუდექ ზეცას სვეტად და ბურჯად,
არ ჩამოიქცნენ, ღრუბლები ქვებად,
მხრებიც დაჭიმე, ხელებიც მძლავრად,
შენ, გზა უღობე, წარღვნაც ჩერებად.

არ წამოვიდეს სეტყვა და გოხი,
არ ააცრემლოს ბავშვი და გლეხი,
არ აანაცროს ბაღი და ველი,
არ ამიტიროს ვაზი და ერი.

უნდა გაუძლო, მეტი რა გზაა,
ვიცი გაწვება სიმძიმე დიდი,
მოგეშველებით მე და სუყველა,
დავბიჯგოთ სვეტნი, თან გავდოთ ხიდი.

მერე ქვა-რკინად, სალად და ღვიად,
სვეტებს აღვმართავთ დიდებს და დიადს,
საძირკველს ჩვენ ვყრით დღეს სახვალიოდ,
შვილიშვილები, გვიწერენ ფრიადს!

კაცნი გველიან კაციანს

რა ლამაზი ხარ ქიზიყო,
ვინ მოგიგონა ამ ქვეყნად,
შენნი ქალნი და ვაჟკაცნიც,
დაიზრდებიან შენისად.

ხელი ხელს ჩაკიდებულნი,
ბაღებს, ვენახებს ვიდოდით,
ჩუმ მდინარესაც ალაზანს,
ზედ გულზედ დავაბიჯებდით.

მერე, ვიტყოდით კაცისას,
სულს კიდევ ჩაეღვენთება,
როცა ჩვენ და მთელ მადლიანს,
ქალ-ვაჟნიც დაეზრდებიან.

თუ სიზარმაცე არ დაგვძლევს,
ფონსაც მოვნახავთ მარჯვიანს,
თუ ვაჟკაცი ხარ იმარჯვე,
კაცნი გველიან კაციანს!

რა ლამაზი ხარ ქიზიყო,
ვინ მოგიგონა ჩვენისად,
შენი ქალნი და ვაჟკაცნიც
დაიზრდებიან შენისად.

ორივენი ლამაზები

ტანა* ტამიშს** ეტატანა,
მე ქართლელი, შენ აფხაზი,
მე მტკვარს ვერთვი
შენ ზღვას დიადს
ორივენი ლამაზები

პატარები, თავნებები,
წყარის წყლებით გამოზრდილნი,
ღელეებით, თოვლით, წვიმით,
ჩვენ ხომ ურჩნი ყმაწვილები?

საქართველოს ღვიძლნი შვილნი,
მრავალ ცეცხლში გამოვლილნი,
როგორც ცა და ვერსკვლავები,
საქართველოც აფრენილი –

აზვირთდნენ და აჰყვნენ ტალღებს,
ჩვენი ფიქრი, ოცნებები...

---

* ტანა – მდინარე შუა ქართლში, ქალაქ გორიდან 3 კილომეტრში (ატენის ხეობა).

** ტამიში – მდინარე აფხაზეთში

დარაჯი

ეს სამოთხეა იქ, სადაც ეხლა,
ბავშვნი ხარობენ, დიდებიც მრავლად,
განთიადიდან დაღამებამდე,
გზები მივკეცე, ფეხებიც მტვრევად.

მე ლიხნიც ვნახე და ახალციხეც
ჰო, იქ ბაღებიც ბევრი ვაშენე,
რიონის წყალით ვრწყე მე ისინი,
კავკასიონიც ზედ დავაწვიმე.

ეს სამოთხეა ჩემი სამშობლო,
ერთი მტკაველი, ბევრი თუ ცოტა,
მეტი რად მინდა, რა თავში ვიხლი,
რაც ღმერთმა მომცა – ქვიტკირი, ოდა.

ავაბალახებ სალ კლდესაც ალბათ,
ცხვარს გავამრავლებ მრავალ და მრავალს,
სამოთხის ბაღსაც დარაჯი უნდა,
ერთი ბოქლომი – მერე კი წავალ.

დრო

დრო უსასრულო, შეუქცევადი,
დრო გარდასული დიდ ოქროს ხანის,
დრო ხან დაცემის, კვლავ აღზევების,
დრო ძმათა მტრობის, ქვეყნის დაქცევის?

მაგრამ, ყველაზე ტკბილი,
ყველაზე მწარე.
ეს დროა ალბათ,
დრო სიყვარულის,
დროს სიყვარულის...

არსებობს კიდევ და იარსებებს
დრო გამარჯვების,
დრო გამარჯვების.

განკარგული ჩემში და ერში
ხალხში და შენში...

დრო უსასრულო, შეუქცევდი,
დრო გარდასული დიდ ოქროს ხანის,
დრო ძმათა ძმობის, ქვეყნის ზეაღსვლის,
დრო საოცარი, სივრცეში მიჰქრის...

სიბერევ ჩერდი!

ჩერდი სიბერევ, სიკვდილო კაცთა,
ყველა სუდგმულის – საფლავნიც ავთა,
მძულხარ სიბერევ, კვლავ ჭკნობა ხორცთა,
არად მინდიხარ, მაქციეთ ბავშვთა.

მისი წამალი არ იცის არვინ,
უბრად ფლანგავენ სიყრმეს და განძთა,
სადა ხარ ჩემო, წლებო ლამაზო,
ვის შევალიე – ვზარდე კი ვაზთა?

მე ვიცი მაინც, რომ ყველა ართა,
ყველა მომხვდურზე გვემარჯვოს ომშიც.
ხომ ვიყავ ბავშვი, მეც ვნახე იგი,
სიბერე როგორ ოხრავდა ხორცშიც.

ვაცნობიერებ მე უკვე დიდი,
რად მოვიყარე აქამდე გრდემლი,
მეც შემომტყორცნა სიბერემ ავი,
დრომ უსასრულომ, მარჯვენამ მჭედლის.

არადა მაინც, მინდა, რომ ერთხელ,
მე შევესიტყვო სიბერეს მწარეს.
სიბერევ ჩერდი, ჩერდი და მოკვდი,
სიცოცხლეს ვტოვებ – შვილებო მრავლდით!

ცა

ცა, ციურ, ცათა მნათობნი,
ციაგ, ციალიც ცა – რგვალის,
ცხრაჯერ, ცხრაკუთხით ჩამეცით,
ეს დანა ცხელი ცხრა ალის.

ვინც ვერ ამარცხოს ბოროტი,
ცუდი, ბაცაცა, ბეცია,
მტერი ვერ მიმაქცევინოს,
გვარიც ხომ მისი ქეცია.

ამიცირთალეთ სამშობლო,
საცემი მართლაც ბევრია,
აჰყარეთ ჯაჭვნიც აფხაზეთს,'
ის სამშობლოა, ჩვენია.

სამამულე რქა

ჩვენი მიწა, ჩვენი მამული,
აქეთ მტკვარი, იქით რიონი,
აქვე სულ ახლოს, გორი, ატენი,
ბაღ-ვენახები, რაჭა, იმერი.

მამული ჩვენი, სამამულე რქით,
რქაწითელი და შავი საფერე,
ხრამი ჩხრიალა, კლდე-ღრე ტყიანი,
მოდის, ჩამოდის, – ქაროც დაბერე!

მე კი რა მინდა? ისევ მივასხლა,
სამამულე რქა კვლავ ღონიერი,
უფრო გამსხვილდეს, უფრო მომძლავრდეს,
წელიც დაგიდგეთ ფეხ-ბედნიერი.

წყალიც მიუშვათ ალაზნის მღვრიე,
მიწას გაუჯდეს ფილტვებში ტენი,
ააბიბინოს სამშობლო ჩემი,
კვლავ მომაფრინდეს მერცხალი ჩვენი!

და თუ ყოფილხართ აფხაზეთს ლიხნში,
რა მიწებია, წითელი სისხლი,
ტამიში, ტანა დამოყვრებულან?
ქარს აუგია, ცრემლი და ფერფლი.

იქ გავიხედოთ, შორს გავიხედოთ,
ათასის შემდეგ,
რანი ვიქნებით, ვინ ვიქნებით?
იხარებს ვაზო, მამული ჩვენი?

არ დამეჩოქო

არ დამეჩოქო ლექსო არასდროს,
აღარ დამიშრე, სიტყვაც ულევო,
არ ჩამიჟანგდე, ხმალო ფოლადო,
არ ჩამიობდე, დანაც ნალესო.

აღარ მოვმწყემსო სოფლის ნახირი?
აღარ ჩავიცვა ჩოხა ქართული?
არ დავამღერო „შავო მერცხალო“?
არ მივამღერო მე დიდ ურმული?

ლექსო დადინდი, ახდი ქორწილო,
ახდი კეთილო, ახდი ნათლობავ,
ლექსო ამოდი გაიბრჭყვიალე,
ვით ალმასები ერის წყალობად!

სურვილი

სურვილთ სურვილი;
დიდი ვება, არ უშურველი;
ფერფლისფრად ქცევა.

ის შემოხედვა...
მერე კი ნგრევა.
აღმოსავლეთით ზეცა შეჭრილი,
იქ დასავლეთით მიწაც მოჭრილი.

ერში ქალები – რა ლამაზები,
ცეცხლის ალები, დიდ თამარები,
ო, ნესტანები – ცრემლის ღვარები.

რა შეცდომები, რა ორგულები,
რა დიადები, რა ამაყები,
რა საოცრებები, რა კეთილები
რა ბოროტები, და რამ ღვარძლები...

აღმოსავლეთით ზენა, ცა ხსნილი,
იქ დასავლეთით სუფრაც გაშლილი.

და მეც მათ შორის...

და მეც მათ შორის, ჩავდგები რიგში,
რად მომიწია იქ წასვლის დრომაც?
ქარს გავატანე ჩემი ჯანი, ახალგაზრდობა,
ეხლა უდროა, დარდი და წყრომაც.

მე სანთელივით ჩავიწვი ასჯერ,
ფერფლად ვაქციე დღეები მზისა.
გულჩათხრობილი ვიდოდი მუდამ,
თვალახვეული ველოდი გზირსაც.

უჩვეულოა სიცოცხლე კაცთა,
ყველა ცოცხალი რად აჩენს შვილსა?
მეც ხომ მარგუნა შვილები ღმერთმა,
ესეც ყოფილა ჰო, ნატვრა ღვთისა;

და მეც მათ შორის, ჩავდგები რიგში,
სად წინაპართა ძვლებია შლილი,
ასე ყოფილა უწინაც, ეხლა,
მარტო მე, მერგოს ეს ქვებიც თლილი.

მაგრამ იცოდეს, ყველა ქართველმა,
სამშობლო არის საფიცი ჩვენთა,
საქართველო და ქართველნიც ერთად,
არვინ მოგვისპოს, გვიმრავლოს ძეთაც!

სინათლე

სინათლე მზის,
ვარსკვლავთ ციმციმიც-ნებაა ღვთის,
სინათლე წყლის –
ნებაა გონების, ფიქრის და წვის.

ნათელი გონება? – ირჯება არ ცხრება,
ბრუნავს სამყარო, ბრუნავს ტურბინა,
ბრუნავს დოლაბი, ბრუნავს პლანეტა.

კეთება სიკეთის, ნათება სინათლის,
მასშია წარსული და უსასრულობა...
სინათლე რომელიც არასდროს არ ქრება,
სანთელიც გვახსენებს უდროოდ წასულთა...
ერისთვის დაცემულთ, მარადის ხსენება!

მზაკვართა სიცილი, სიბნელე, წამება,
სინათლევ, იმარჯვე, ღმერთს ვთხოვოთ შენდობა.

სინათლე უცნაურ, უხილავ სხეულთა,
სინათლე ფოტონთა, მეზონთა, მიუნთა,
ნათება სიცილთა, კისკისთა, კუდრაჭთა.

სიბნელე უსახურ, ბინძურთ და მსახურთა,
სინათლემ ანათოს, ღმერთს ვთხოვოთ შენდობა.

ეჭვი

ეჭვთა მპყრობელო,
გულბოროტო, კაცო ვერაგო.
მცინარე სახით, შენ ავზნიანო,
ეჭვო ქვემძრომო, ქვეყნის ამკლებო.
ჰა ძალაყინი, ბარსაც მოგაწვდი.
რად შეგვირყიე ჩვენ საძირკველი?
ბანიც გვინგრიე, აფხაზსაც მისწვდი,
უკიდეგანო, რამ ხარ ძლიერი...
გუმანით ვხვდები, გქვია შენ სხვა სახელი...
ართე, ამდიდრე უსაქმურები.
მომხვეჭელები, უწმაწურები.
მაგრად მოზილე ეგ შენი ეჭვნი,
თონე ანთია, შიგ ჩააკარი...
მიწას რომელსაც არ ჰყავს პატრონი,
კვლავ უცილობლად –
ღრეობს სხვათა ბატონი...
თონეს რომელსაც არ ჰყავს მცხობელი,
შოთი არ ცხვება, არცა ქატონი.

ვაზი უჭკნობი

ცა მოიღრუბლა, მთვარე არა სჩანს,
კაცთ ჭაჭანებაც ღამეულ ლანდად,
აღარც ვარსკვლავნი, აღარც სხვა ძალა,
აღარ ვიდოდნენ, ნიავიც გაქრა.

მხოლოდ ჭრიჭინთა გაბმული ხმები,
ამ თითქმის დაცლილ სოფელს აცოცხლებს.
მე ცოცხალი ვარ? ვფიქრობ ღამეულ,
ხმალი სად მიდევს? ვფიქრობ მთვარეულს.

მამა-პაპურად სანთელს, მე ვანთებ,
მის ბრწყინვალებას თვალს ვერ ვუსწორებ,
დილით ჭიკ-ჭიკი მეხმიანება
დე საქართველი ასჯერ გაორდეს.

მერე იმძლავრა ჰო, ნიავქარმაც,
ღრუბლებს დაუსვა ხელი, ვით დახლზე,
მიჰფანტ-მოჰფანტა, სადღაც მიკარგა,
გამოაჩინა ცა – სილამაზე.

მეც გამინათდეს სული ურყევი,
კვლავაც ვიწამო ვაზი უჭკნობი...
ჰო, ეს აძლევს ქვეყანას ძალას,
ვაზის ლერწიც ხომ გვიკურთხეს ჯვარად.

თვის ვაზის ლერწში კვეთეს სიცოცხლე,
ეხლაც კი დგანან დიდგორს ჯვარებად,
რატომ გვიწვავდნენ, რად გვიჩეხავდნენ?
საქართველოა – ოქროს ცვარებად!

სანთლები

და ეს სანთლები მწკრივად,
ნელა იწვიან უხმოდ,
ჯარისკაცებს ხომ გვანან,
ომში დაცემულთ ვუხმოდ!

კიდევ დავანთოთ ბევრი,
მათ სადიდებელს ვიტყვით.
კვლავ მოვიგონოთ ძენიც,
ჰო, სასიკეთო ქენით.

ღვინო ვუქციოთ საფლავს,
მათ ხომ სჯეროდათ ჩვენი.
მათი სურვილი ახდა.
მტერს არ ვუზიდოთ ძღვენნი.

მრავლად დაანთოს ყველამ,
სანთლები მათი ტოლი,
ხსოვნა-დიდება დაგვრჩა,
ზოგს ხომ არ ჰყავდა სწორი?

მხოლოდ ჩვენ დავრჩით ზოგი,
კითხვა-პასუხის ხალხად?
ჩვენ გავიხსენოთ მრავლად,
დიდი ქვევრებიც ახდად!

ღრუბლები

ღრუბლები მოქუფრულნი,
ავის მოციქულნი?
მზის დაბნელებაა?
არა! – ერი შემართული.

ერის სიყვარული – ბავშვთა ატაცება,
მათი ამღერება, ერის გამრავლება.
წყლისგან გამოცლილნი.
ღრუბელნი კვლავ გამქრალნი.
მიწა გამომშრალი?
მცენარეც რად ჩამკვდარი?
ღრუბლები თმებ დაწნულნი,
დიდ წყლად დაქცეულნი,
ვენახი კვლავ დასხმული,
მტერი?
მტერი მიქცეული.

კილომეტრები

ამ კილომეტრებს ულევთ, თითზე დავიხვევ ძაფად;
მინდა გზა ვთვალო ბევრიც როგორც მძივები ასხმად,
ლიხნსაც მივიდე ძმებთან, მოვინახულო ყველა,
ნათესავებიც, შვილნიც, მართლად დავლოცო ქველად.

აჰა, შევმართე სიტყვაც, სასხლეტს გამოვკარ თითი,
სიტყვამ იფეთქა ისე, მთებს გადასძახა იქით.
გზას ნუ მიჰყვები ჩქარა, კილომეტრები ქრება?
მხოლოდ გრძივი და ფართე, ავტობანებიც წყებად.

ცვივა ვარსკვლავნიც წვიმად, აქაც ვაჟკაცნი ხილვად,
გზებსაც ხომ უნდა მოვლა? – ყველა უზრდელიც აღზრდად!

კილომეტრები ქრება, ძრავს ეჯავრება დაღლა,
ზოგს სად უწყდება გზა და სადღაც უფსკრულში დაღმა?
არ ააჩქარო ეს გზა, თუნდაც გიჭირდეს ძლიერ.
მშვიდობით ლიე გზები კილომეტრებიც მრავლად.

ვაჟები

ვაჟები ცელთან ნაზარდნი,
მუხლაყრილ მთებში ტრიალით,
ნაზურგით, თივით ნაწვალნი,
ტყეც მწვანე – მარად შრიალით.

ამჯერ, ამკაფე, ოხერო,
ცელს ეუბნება ბალახი,
შენც ხომ ვარგიხარ ფოლადო,
არც მე დაგაკლებ ვაგლახი!

თითქოს სიმდიდრე გვაწუხებს,
ამას ვინ იტყვის პირშავი?..

გადასახედი

როცა მივჯდები სადმე მყუდროზე,
არვინ არ იყოს ჩემი შემწუხი,
ცოტას ვიფიქრებ, მერე გავხედავ,
სერებს ზვიადებს, აბა რას ვბედავ?

მე რა მაწუხებს? – ვიღაცა კვდება.
სულთ მობრძალია აგერ ყურის ძირს,
მე რა ვუშველო, მე რა ვიღონო,
ყველა რატომ ვართ მართლა უღონო?

თუ რაიმე სთქვი, ცოტა ნამდვილი,
ასე ამბობენ, ყველაგან ყბორეთი,*
არ აღუდგები, ძველს და ძირმომპალს,
მაშ ვინღა ქექოს, ჩვენთან შმორეთი?

თუ გაიყინა აზრი უჭკნობი,
აზრი დიადის სულის ჩამდგმელი,
მაშინ გაცივდეს მზეც და დიადიც,
კაბაც ჩავიცვათ ბარემ დიაცის.

მე შევუთანხმდი ჩემს ძმა ხმობილებს.
გავაგებინე სხარტად და ნათლად,
თურმე პირში თქმა, თან სიჯიუტით,
დრო კვლავ იწყება, წინ სწრებით, ათვლად,

ყველასთან მივალ, ყველას დავკოცნი,
ყველას ქორწილსაც მოვინახულებ,
რომ ვადღეგრძელო ჩემი სამშობლო
და ქართველთ ერის გადასახედი.

---

* ყბორეთი – სიტყვა ყბისგან.

აზროვნება

მინდა სიმღერა ისმოდეს ყველაგან,
ან კვლავ ღიმილსაც რა შეედაროს,
ჩვენი სოფლები და ქალაქები
არ დაემსგავსონ ბოთლს ნამსხვრევებად.

ვეღარ შეიკრას ბოთლი კვლავ მკვრივად
ვინ აკოწიწოს თუნდაც მცირედით?
გესმით, ხმა ისმის, სიცოცხლის, ლხენის,
დიახ, ღუღუნებს მშვიდობის მტრედი.

მარად და მარად, იდინოს ძალამ,
გული სამშობლოს, ზღვაც აზვირთებით,
მხოლოდ კაცობით, მხოლოდ სიმართლით
ჩვენ კვლავ ვმკვიდრდებით, გონთ აზროვნებით?

სარჩევი

მიწა 5
ნისლი 6
მარილი 7
კვიცი 8
გონება 9
შემოდგომა 10
ჩემი სახლ-კარი 11
ზეშთაგონება 12
გამარჯვება 13
ხე მართალი 14
ფერფლი 15
ქვა 16
ცელი 17
სახელი 18
ჯავრი 19
მოხუცი 20
სიყვარული 21
წყალი 22
ცრემლი 23
ქარს ექო... 24
გვალვა 25
ხმა 26
საფლავებიც კვდებიან 27
ჰანგები 28
დაიტანჯება ქართველი 29
წამი 30

ვაჟას 31
ფერი 32
სიჯიუტე 33
ნათქვამი ერთი მეფისა 34
სახელად ერი, სიცოცხლე გვარად! 35
თივა 36
დღე 37
დინება 38
სული 39
ბუნება 40
ტყვია 41
ეს სამშობლოა, იცოდე! 42
განთიადი ალაზნის ველზე 43
ქორწილი 44
ცის მაგიერ მფარავს მიწა 45
შაშვები 46
დავბრუნდეთ 47
წამებავ გულის ერთისა 48
სისწრაფე 49
მზის ჩასვლა 50
კალმახი 51
ენა 52
სიტყვა და სეტყვა 53
ვარციხე 54
ტყვიას გავხედნი ფეხშველი 55
გუთნისდედა 56
პეშვი 57
სახე და ვარდი 58
ერი 59
სიცილი? – კიდევ მოგვინდეს 60
ადამიანი 61
გრდემლი 62
თამაში 63
ჩვენ? – არ ვაპირებთ არავის დასჯას 64
ჩირაღდანი 65

მოქმედება 66
ქართველი 67
სიყალბე 68
ჰო, მე ვაჩერებ ჩემს აზროვნებას! 69
ვაზი 70
მომეცით ხელი 71
საქმე 72
სვლაგეზი 73
მთები 74
მე უფერული ჭადარი მიყვარს 75
წესი 76
მზე 77
მძინარები 78
შესანდობარი 79
ნიავი 80
ფიცი 81
ვაშა სიცილს, ხარხარს დიდება! 82
საჭრეთელი 83
ცეკვა სამაია 84
სიკვდილი 85
სვეტად და ბურჯად 86
კაცნი გველიან კაციანს 87
ორივენი ლამაზები 88
დარაჯი 89
დრო 90
სიბერევ ჩერდი! 91
ცა 92
სამამულე რქა 93
არ დამეჩოქო 94
სურვილი 95
და მეც მათ შორის 96
სინათლე 97
ეჭვი 98
ვაზი უჭკნობი 99
სანთლები 100

ღრუბლები 101
კილომეტრები 102
ვაჟები 103
გადასახედი 104
აზროვნება 105

தமிழ் 2038260

கல்லூரை, J. சுந்தரலிங்கம் தெரு 6
☎ 214 3401, 577 33 3855
stamba.damani@gmail.com
தமிழ் முரசு/Print House Damani